განკარგულება:**g-81.81222505**
თარიღი:**07/09/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №44

ცაგერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანილი ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - სატრანსპორტო საშუალების ავტომანქანის LAND CRUIZER (1999 წლის გამოშვება, სახელმწიფო ნომერი WWQ 430) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.გ. ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგრიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 34-ე - 35-ე მუხლების და ს.ს.ი.პ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №003798822 საექსპერტო დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - სატრანსპორტო საშუალების ავტომანქანის LAND CRUIZER (1999 წლის გამოშვება, სახელმწიფო ნომერი WWQ 430) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 8000 (რვაათასი) ლარით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი